ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ — № 439

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 6 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1874

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ: ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲗ — ᲔᲥᲕᲡᲘ ᲛᲐᲜ., ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲗ — ᲡᲐᲛᲘ Მ.Ნ., ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲗ — ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜ. ᲓᲐ ᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲗ — ᲡᲐᲛᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ:
ᲕᲐ ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲨᲘ, ᲕᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲚᲘ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ᲐᲜᲢ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲜᲝᲜ:
ᲕᲐ ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲨᲘ, ᲕᲐ ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲣ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ᲫᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔᲓ, ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲛᲘᲠᲘᲛᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘ: ᲘᲕᲜᲝᲕᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ, ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲘᲚᲐᲜᲗᲐᲜ, ᲨᲐᲑᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

— ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 6 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ — ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ — ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ — „ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔᲡ“ — ᲬᲘᲒᲜᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ — ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ — „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ: ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲜᲘᲫᲒᲐᲜ, ᲨᲝᲗᲘᲫᲒᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ: ᲬᲘᲚᲘᲐᲛᲑᲔᲑᲘ — ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲘ — ᲜᲐᲠᲔᲕᲘ. — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ: ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ ᲢᲐᲑᲔᲗᲘᲡ Ე�პᲘᲡᲙᲝ�პᲝᲡᲘ ᲡᲐᲑᲐ

ᲑᲝᲚᲝᲛᲘᲡ ᲕᲘᲮᲓᲘᲗ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲓᲐᲕᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲗ. ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔᲓ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲜᲔᲑᲘᲡ-ᲓᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲛᲨᲑᲐᲗᲗᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲗᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ, ᲛᲘᲕᲘᲚᲔᲗ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 6 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲔᲮᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ. ᲔᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲐᲗ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲓᲐᲕᲐᲤᲐᲡᲝᲗ ᲐᲛ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐᲪᲐ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲪ....

ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲐᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲗ ᲘᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲓᲐᲮᲔᲓᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲘᲥᲪᲐ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲗᲐᲪ ᲨᲔᲭᲘᲤᲠᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ. ᲣᲙᲕᲔᲚᲘ ᲪᲝᲢᲐᲝᲓᲔᲜᲐᲗ ᲡᲐᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ, ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲪᲘᲠᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲭᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲒᲐᲜᲘᲠᲩᲝᲓᲐ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲣᲤᲚᲘᲡᲬᲝᲗ ᲓᲐ ᲑᲐᲐᲡᲘᲡᲐ ᲣᲧᲠᲘᲓᲔᲜ ᲙᲔᲜᲭᲘᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ.

ᲐᲛ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲗ თუ შეიძლემა კაცმა იწინასწარმეტყველოს, მაშინ ჩვენ ვიტყვით, რომ თფილისის აზნაურების საადგილ-მამულო ბანკს კარგი ბედი მოელის.

ჩვენ ძვირათ გვინახავს სადმე, საზოგადო საქმეში, მომეტებული თანხმობა, მომეტებული ლმობიერება, პირადი ანგარიშების უქონელობა და კეთილშობილი ყოფაქცევა, როგორიც ქართლ-კახეთის აზნაურებამ გამოიჩინა ბანკის საქმეში. მზგავსი თვისება, რომელიც ჩვენ შევამჩნიეთ აზნაურებას ე. ი. გამჭრიახობა და თანხმობის გრძნობა, ერთობ ძვირი საპოვნელია და ჩვენ დარწმუნებული ვართ, იმას რომ ხშირად შეეძლოს საზოგადო ცხოვრების ასპარეზზედ გამოსვლა, ბეჯითად გონიერების და სანატრელი პატიოსნების სახელს დაიმსახურებდა.... მაგრამ საკმაოა, ვინმემ მიდგომათ არ ჩამოგვართვას ეს აზრი და არ გვითხრას, რომ ჩვენ ვნიშნავთ აზნაურებას მარტო კარგ მხარეს...

ᲐᲛᲐᲖᲔᲓ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲕᲡᲗᲥᲕᲐᲗ: ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲝᲛᲐ�გᲝᲑᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲬᲘᲠᲕᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲒᲕᲥᲝᲜᲘᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓᲘ, ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲘ, ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ, თუ გულეხი; ჩვენ ყველასათვის ერთი და იგივე გრძნობა გვაქვს გულში, ყველასათვის განურჩეველათ გვსურს ნათელი და კმაყოფილი ცხოვრება, სამართალი და ჭეშმარიტება. ᲒᲣᲜᲘᲔᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ, სადაცარ დავინახავთ, გლეხობაში, თუ აზნაურებაში, ჩვენ ერთნაირათ მივესალმებით, თანასწორათ მიულოცავთ იმათ ვისგანაც ეს მოელენა წარმოსდგება....

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲘᲡᲮᲜᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ. Უ. ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲣᲚᲝᲪᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲡᲔ ᲨᲕᲔᲜᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲡ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲛᲘ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲘ, ᲔᲠᲗᲘ Უ. ᲖᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐ, ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲚᲜᲐᲖᲔᲓ ᲜᲔᲑᲐ-ᲠᲗᲕᲐ, ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ Უ. ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡᲐ, ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚᲗᲐ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐ. ᲖᲐᲗᲐᲕᲔᲓᲐ თუ არა ოფიციალური ქალალდების ჰკითხვა, Უ. ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲛᲐ ᲛᲝᲘᲬᲕᲝᲓᲐ Უ. ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲣᲐᲖᲘᲑᲔᲒᲘ, ᲬᲐᲔᲙᲘᲗᲮᲐ ᲛᲐᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲐᲚᲛᲝᲩᲠᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲐᲥᲛᲔᲓᲘᲡ, თუ რა მოიქმედა კომიტეტმა. Უ. ᲣᲐᲖᲘᲑᲔᲒᲛᲐ ᲔᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲐ, ᲓᲐ ᲛᲔᲠᲛᲔ ᲛᲝᲐᲮᲡᲔᲜᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛ ᲬᲐᲛᲘᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲝᲓᲔᲗᲝ. Უ. ᲣᲐᲖᲘᲑᲔᲒᲘ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲥᲛᲔᲗ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲡ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠᲐᲗ. ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲛᲘᲘᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲦᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲡ.

ᲐᲮᲐᲚᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲐᲗ ᲐᲠᲩᲘᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ: Უ.Უ. ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ, ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲝᲡᲔᲑ ᲠᲣᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲔ, ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲣᲐᲖᲘᲑᲔᲒᲘ. ᲘᲐᲡᲔ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ, Ი. ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲘᲕᲐᲜᲔ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ, ᲓᲐ ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜ ᲐᲛᲐᲢᲣᲜᲘ.

ᲐᲛ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲨᲘᲕᲔ ᲛᲘᲔᲜᲓᲝ ᲐᲮᲐᲚᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡ ᲒᲐᲔᲬᲔᲡᲔᲑᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲢᲐᲜᲘ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲘᲛ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲝᲭᲕᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲜᲪ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲕᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ თ.ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲓᲘᲚᲘᲗ ᲐᲗᲡ ᲡᲐᲐᲗᲖᲔᲓ. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲡᲐᲠᲩᲔᲕ ᲡᲐᲒ. ᲜᲐᲗ ᲓᲐᲣᲠᲩᲐ ᲙᲠᲔᲑᲐᲡ: ᲛᲘᲔᲚᲝ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲜᲘ ᲐᲣᲤᲚᲔᲑᲓᲔᲜ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ.

ᲛᲡᲜᲘ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲑᲘ ᲙᲠᲔᲑᲐᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲚᲝ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲓᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲨᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲑ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲪ ᲙᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲜᲔᲠᲩᲘᲐ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ Უ. ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲛᲐ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲐ ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲡ ᲡᲬᲘᲠᲐᲕᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲚᲠᲩᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ Უ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲐᲛ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐᲖᲔᲓ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲥ ᲛᲧᲝᲤᲗᲐ ᲘᲡᲣᲠᲕᲔᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲐᲚᲠᲩᲔᲕᲐ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲥᲐ ᲘᲥ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ Უ. ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲘᲡᲛᲐ. ᲐᲛᲐᲖᲔᲓ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲔᲢᲧᲝᲑᲝᲓᲐ ᲗᲐᲜᲮᲛᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ Უ. ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲨᲔᲘᲕᲘᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗ ᲠᲘᲪᲮᲕᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ. ᲛᲔᲠᲛᲔ Უ. ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲣᲐᲖᲘᲑᲔᲒᲛᲐ ᲬᲐᲘ�კᲘᲗᲮᲐ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲘᲡᲣᲠᲕᲔᲡ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲚᲐ. ᲐᲛ �გᲐᲠᲓᲔ ᲬᲧᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲓᲐᲔᲜᲘᲨᲜᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ და ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲐᲗ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ. ᲘᲡ ᲞᲘᲠᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲓᲔᲜ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ ᲘᲧᲣᲜᲔᲑ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲡ ᲘᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲜᲘᲡ ᲡᲐᲚᲘᲠᲐᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲘᲐᲗ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠ ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲐᲖᲔᲓ, ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲙᲠᲔᲑᲐᲛ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲖᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲫᲚᲔᲚᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘ ᲣᲐᲖᲘᲑᲔᲒᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ Უ. ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲑᲔᲑᲣᲗᲝᲕᲘ, „ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ.

ᲣᲤ. ᲑᲔᲑᲣᲗᲝᲕᲘ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ, ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲔᲜᲭᲘᲡ ᲧᲠᲐᲛ Უ. ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ გამო ჩინა შემდეგი რეზულტატი.

ᲭᲐᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ — 135
— — ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ — 19

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ. ᲙᲔᲜᲭᲘᲡ ᲧᲠᲘᲡ ᲠᲔᲖᲣᲚᲢᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲘᲘᲥᲪᲐ Უ. ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲐᲛᲓᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲐᲚᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐ. ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ „ᲛᲝᲬᲧᲚᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲝ“ — ᲐᲫᲑᲝᲑᲡ Უ. ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲫᲐᲠᲨᲐᲚᲘ — „თქვენ უნდა აღირჩიოთ ბანკის გამგებელი. ᲔᲡ ᲙᲔᲜᲭᲘᲡ ᲧᲠᲐ ᲤᲠᲘᲠᲘᲓ ᲡᲐᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝ ᲐᲠᲘᲡ თქვ

დამფასებლების აღმორჩევაზედ ქრება დათანხმდა, რომ დამფასებელათ უნდა იქმენ ბანკშივე მონაწილე თავად-აზნაურთაგანი, რომელნიც უნდა ითვლებოდენ კარგ ძეოჯახეთ და უმანკო ზნეობის კაცად ამის შემდეგ აზნაურების საგანგებო კრება დაიხურა. ბანკი, როგორც ვიცით, იანვარში უნდა გაისხნას, მანამდის კი რაც საჭირო არის ზედამხედველი კომიტეტი მოამზადებს და იანვარში ხელ-ახალი კრება ექნება აზნაურებს ბანკის ოპერაციების გასახილელად. მაშინ იქნება დამფასებლების ამორჩევაც და ბანკის მოხელეების დანიშვნაც.

წვრილი ამბები

წლიური ხარჯი თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობაზედ:

ბამგებლისათვის დანიშნულია 2400 მანეთი ჯამაგირი, ორს დირექტორს თითოს 2000 მანეთი, სულ 4000 მ., ხუთს დამფასებელს თითოს 700 მან., სულ 3500 მ., ბანკში მოხელეთავის სულ 2100 მ., საქმის მწარმოებელსზედამხედველს კომიტეტში 700 მ.,

ბანკის გამგეობის განკარგულებაშია მწერლების დასაქირავებლად, სახლის დასაჭერად და იმის გასათბობად და გასანათებლად 2300, სულ ბანკის ხარჯი თხუთმეტი ათას სამასი მანეთია.

ამას გარდა წელს კომიტეტის განკარგულებაშია ბანკის გასაწყობად და პრიკაზის მოხელეების დასასაჩუქრებლად, რომელთაც თავად-აზნაურების ფული აბარიათ—2000 მან.

— **წ**ასრულ ნომერში ერთი ჩვენი კორრესპონდენტი ამბობდა, რომ სახალხო ექიმობა, რომელიც ჩვენ ძველათ გვშველოდა, ისე მცირე და სასაცილო არ ირისო, როგორც ზოგიერთს ეხლანდელ ნაწავლ ექიმს ჰგონიო. არა თუ ჩვენი სახალხო ექიმობა, ველური ხალხების ექიმობაც მხედველობაში მიუღია ევროპის მეცნიერებას და ბევრი უსარგებლებია, ბევრი გადმოულიაო იქიდგან. ესევე ითქმის ყოველივე ხალხის ცხოვრების ზოგიერთ სხვა მხარეებზედაც. ამას ჩვენ ვამბობთ ერთი ცნობის გამო, რომელიც „პეტერბურღის უწყებებმა“ შიგვატყობინა: ერთს რუსეთელს პედაგოგს ევტუშევსკის საფუძველი დაუდვია შინაური შკოლების გავრცელებისათვის.

აი როგორ აკეთებენ ამ შკოლებს: ათიოდე დედ მამა, რომელთაც ერთის ხნის შვილები ჰყავთ, აირჩევენ საშკოლოდ ერთის რომელიმე იმათგანის სახლს და მოაწყობენ ისე, როგორათაც პედაგოგია მოითხოვს. თითოეული ამ დედ-მამათაგანი აძლევს თავის შვილს სტოლსა და სკამს, წიგნებს, საწერ-კალამს და ყველაფერს, რაც კი შკოლაში საჭირო არის. ამას გარდა ეს ოჯახები საერთო ხარჯით დაიჭერენ მასწავლებელს, რომელიც ასწავლის რომელიმე შკოლის პროგრამმით სხვა და სხვა საგნებს კითხვა-წერიდგან დაწყებული. უმაწვილები, რომელთაც ამგვარად დაუწყიათ სწავლა, ერთად მიდიან სწავლაში, და ერთად ასრულებენ მას, ისე რომ ეს შინაური შკოლა შესდგება ყოველ წლივ ერთის რომელიმე კლასისაგან. ამ გვარი შკოლის გაწყობა, ძლიერ კარგი მასწავლებელიც რომ ჰყავდეთ მიწვეული, ასოც და ასორმოცდა ათ მანეთზედ მეტად არ დაუჯდება თითო ოჯახსო.“

ეჭვი არ არის, რომ, თუ ჩვენში ამნაირი შკოლები გაიმართა რომელიმე სოფლებში, მხოლოდ თავად-აზნაურები და მოსაძსახურე კაცები იქნებიან ამათი დამფუძნებლები და არა სხვა ვინმე.

ამ ცნობით ჩვენ გვინდოდა გაგვეხარებია მკითხველებისათვის, რომ ოდესმე ჩვენშიაც ყოფილა შინაური შკოლები. ამ შკოლებს რასაკვირველია უფრო პატრიარქული სახე ჰქონდათ მაშინ, მაგრამ მაინც კითხვა-წერის გამრცელებელნი იყვნენ. თითოეული ცოტაოდნად შეძლებული ოჯახი წარმოადგენდა შინაურ შკოლას, საცა ათი და ოცი მეზობელი ოჯახისაგან გამოგზავნილი უმაწვილები სწავლობდნენ. თუ უმაწვილები შორებელი იქნებოდენ, ასე სამი ან ოთხი ვერსით მოშორებული ოჯახისაგან, მაშინ ეს უმაწვილი მასწავლებელს ოჯახში ცხოვრებდა ამავე ოჯახის და არა თავის დედ-მამის ხარჯით.

თუ ეხლა ძველ დროის თაყვანისმცემლებმა ეს უფრო ადვილად მოსახერხებელი შკოლა ვერ გამართეს, ნულარ გვაყვედრიან, რომ თქვენ ძველ დროის პატივის მცემლები არა ხართო. უფრო სამართლიანი იქნება რომ თავის თავს აყვედრიდნენ, რადგანაც ისინი უფრო სიტყვით არიან ძველის ცხოვრების პატივის მცემლები, თორემ საქმით ყველაფერში ჰგმობენ მას, თუ რომ ამ გმობით „თფილი ქურქის“ შეკერვა მოახერხეს.

მეორედ, ზემოხსენებული ცნობა ჩვენ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ დავმოწმებოდით ჩვენის კორრესპონდენტის სიტყვებს და გვეჩვენებია, რომ რაც ჩვენში წიხეთ ყოფილა და გადავარდნილა, იმის შემოღებას ეხლა ზოგიერთი ყოვლისფრათ ღირსეული და პატივსაცემი პედაგოგიები თავის სასახელოდ სთვლიან.

— **ს**ამ სეკუნემბერს გარდაიცვალა თფილისში ნიკ. ბერძენოვი, რომელსაც „ცისკრისა“ და „კავკაზის“ მკითხველები კარგად იცნობდნენ იმის თხუზულებებიდგან.

— **ს**ოფელს საგარეჯოს გლეხებს ამ ჟამად შეკრებილი ჰქონიათ მალაზიაში ათასი კოდი ხორბალი, რომელიდგანაც შარშან ბევრი გუსესხებიათ და წრეულს კი ხორბალი სესხათ აღარავის დაჭირვებია, რადგანაც ძლიერ კარგი მოსავალი ყოფილა.

— **ბ**ამოვიდა და ისყიდება კნ. ბარბარე ჯორჯაძისაგან შედგენილი წიგნი „ქართული სამზარეულო“, დამატებით ზოგიერთთა საოჯახო სამეურნეო ნაცადთა ცნობათა და რუსულთა საჭმელებთა. ფასი ერთი მანეთი.

„თფილისის მოამბეს“

მას აქეთ, რაც უფ. ბიორგი წერეთელმა „თფილისის მოამბის“ ერთს დედა-ბოძს თანამშრომელს დაუმტკიცა, რომ იმას არ ესმის სალიტერატურო მასალების შნიშვნელობა და არც ქართული ენა იცის ისე, რომ ეს მასალები სწორედ გადათარგმნოს, მას აქეთ, ვამბობთ ჩვენ, „თფილისის მოამბე“ (ან, ვინ იცის, იქნება თვით დედა ბოძი იყოს) ეძებს შემთხვევას, რომ როგორმე უმეცრება და ენის უცოდინარობა შეგვამჩნიოს.

მაგრამ, მისდა საუბედუროდ, პირველ გამოლაშქრებაზედაც ფარხი წაიმტვრია: ეს იყო მაშინ, როცა ჩვენ თფილისში ქართული წარმოდგენების გამო ვსთქვით, რომ „ამა და ამ დღეს ერთი რაფ. ერისთვისაგან გარდაკეთებული და მეორე ბ. ერისთვისაგან გაფუჭებული კამედია წარმოადგინესო“. (ნახეთ „დროების“ № № 408 და 409)

მეორედ ეხლა უნახავს „თფილისის მოამბეს“ ვითომც ჩვენი დამამცირებელი შემთხვევა: რედაქცია სჩივის, რომ ჩვენ მისი კორრესპონდენცია სწორედ არ გადმოგვითარგმნია. ის ამბობს:

„ჩვენს კორრესპონდენციაში ეწერა, რომ კავკასიელი სტუდენტები გაჭირვებაში არიან, რადგან იმათ ნათესავები — იჯარადრები არ შველიან. ბაზეთს „დროებას“ „ნათესავები — იჯარადრები“ „მამებად“ გარდაუთარგმნია. ამას ჩვენ ყურადღებასაც არ ვიგაქცევდით, თუ რომ ამ გვარი აზრის დამახინჯება არ აფიქრებინებდეს ვისმე, ვითომც ჩვენ თანამედროე ცხოვრებაში მამებსა და შვილებს შუა ბუნების წინააღმდეგს უთანხმოებას ვხედავდეთ და ამ უთანხმოების შეწევნასა და განდიდებას ვეჭიქრობდეთ.“

ჩვენის აზრით შეცდომა კი არ არის „ნათესავების — მდიდარი-იჯარადრების“ „მამებად“ გადათარგმნა, ეს უფრო შეცდომის გასწორებაა, ან თავაზიანი სიტყვების აზრის გამოაშკარება. ვინ არ იცის, რომ ყმაწვილები უფრო ხშირად დედ-მამის იმედით მიდიან შორ ქვეყნებში სწავლის შესაძენად, რომ ნათესავთაგან იქნება ათასში ერთმა იკისროს თავის მონათესავე ყმაწვილის გამოზდა. მაგრამ ანკი რა საჭიროა ამ გვარი მოსაზრება ჩვენის შეუცდომლობის დასამტკიცებლათ: ჰკითხოს „მოამბემ“ ყველა მოსკოველს, პეტერბურღელს, ოდესელს სტუდენტს, თუ საზოგადო ფაქტი არ არის, რომ დედ-მამები და სხვა ნათესავები ბევრს რასმე ჰპირდებიან მოსწავლე ყმაწვილებს და ამ ბევრისაგან ძლიერ ცოტას ასრულებენ. რა შეცდომაა ვითომ, რომ კერძო ფაქტის გამო, რომლის მიზეზითაც იქნება კორრესპონდენტმა „მოამბეს“ წიგნი მოსწერა, „დროების“ რედაქციას საზოგადო ფაქტი მოაგონდეს და ეს საზოგადოებასაც გაახსენოს?

„თფილისის მოამბეს“ ეს განსაზოგადებაა რ მოსწონებია, მოსწონებია კი არა, შიშით აკანკალებულა და რომ მისთვის შეილებსა და მამებს შუა უთანხმოების ატეხა არ შეეწამებინათ თავისა და ხელ-ფეხის ქნევით უარ-უყვია კორრესპონდენტისაგან კერძო ფაქტად ნაჩვენები საზოგადო ფაქტი, რომელიც ყოველმა სტუდენტმა და ყოველმა იმათი ცხოვრებს ბნახველმა ძლიერ კარგად იცის.

უარ-ყოფამ თქვენი ჭირი წაიღოს! „თფილისის „მოამბეს“ ისე გამოუთქვამს ეს უარ-ყოფა, თითქო ის უცოდველი ლაზარე იყოს და ჩვენკი მამებსა და შვილებს შუა უკმაყოფილებისა და ჩხუბის მოსურნე. ამით „თფილისის მოამბის“ რედაქცია ისეთ ნაძრახ გზაზედ დამდგარა, ან აპირებს დადგომას, რომლითაც განუდრეკელი მსველელობა დამაშაკობამდის მიიყვანს...

ჩვენ ვურჩევთ „თფილისის მოამბეს“, რომ ამ გზიდგან გარდაუხვიოს და ნურც იმ დედა-ბოძის ჩურჩულს ბისდევს, რომელმანაც ერთხელ ძალიან გაჭირვებაში ჩაგდო ისა. ეს უკანასკნელი ამბავი კარგად უნდა ახსოვდეს რედაქციას და სხვებისათვის საჭირო არ არის, რომ შევატყობინოთ.

თუ რომ ზემოხსენებულს საზრახ სურვილს არ წარეტაცოს „მოამბის“ რედაქცია, როგორ იფიქრებდა, რომ კორრესპონდენტისაგან მოწერილის ფაქტისათვის, თვითონ რედაქციას შესწამებდნენ ცუდს. რასმე, მაშინ როდესაც მთელმა საზოგადოებამ ათასჯერ მოისმინა „მოამბისაგან“, რომ ჩვენ ამა და ამ სტატიას იმიტომ ვბეჭდავთო, რომ მიდგომა და პირმოთნეობა არავინ შეგვარქვასო.

თუ კი „მოამბე“ თავის საკუთარი აზრის წინააღმდეგს მოწინავე სტატიებს ბეჭდავდა და მისთვის ცუდი არავის შეუწამებია, ეხლა, კორრესპონდენტის აზრისათვის, ვინ აცვამ და მას ჯვარზედ. მართალია, ხსენებული სტატიები ყოველთვის რედაქციის შენიშვნით იბეჭდებოდა, მაგრამ კორრესპონდენციებს კი არავითარი გადასალოცავი შენიშვნა არ სჭირია, რადგანაც ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენებური კორრესპონდენტები რედაქციისაგან დანიშნულნი არ არიან და ამიტომ მათგან მოყვანილის აზრებისა და ფაქტებისათვის პასუხის გებას ძლიერ ხშირად ვერც ერთი რედაქცია ვერ იკისრებს.

წიგნი რედაქტორთან.

უფალო რედაქტორო! თქვენი გაზეთის 436 №-ის წვრილ ამბებში ეწერა ჩემი ლანძღვა და ცილის წამება, რომლის შინაარსი ცხადათ ამტკიცებს, რომ თქვენ არა გაქვთ ჩემი ცნობა და არც ბრძანებულხართ ჩემ საზრუნველო შკოლაში. მაშა სადამე ვინმე სხვა არის იმის გადმომცემი, რომელსაც სდომებია ჩემის სინიდისის და კეთილშობილების შებღალვა თავის ნაჯღაბით. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, მაცნობოთ, ვინ ალიჭურავ ტალახიანის ენით ჩემდა მლანძღველად რომლისათვისაც მურს დამტკიცება ჩემი სიმართლისა, როგორც თქვენ პატივცემულ გაზეთში, ისრე წინაშე სამჯავროსა. ჩემის აზრით ეს თხოვნა ჩემგან თქვენთვისაც სასიამოვნო უნდა იყოს, რადგან გექმნებათ შემთხვევა დარწმუნდეთ, თუ რამდენად სიმართლის მოყვარენი არიან თქვენი კორესპონდენტები და ამბების გადმომცემლები.

არ ვიმედობ, რომ ამ ბარათს ექმნეს ადგილი თქვენს გაზეთში და თუ მისცემთ, ეს დამიმტკიცებს თქვენს ჭეშმარიტების მოყვარებას და თანა-გრძნობას სიმართლისადმი.

ხონის საქალებო შკოლის მზრუნველი
სოფია წულუკიძისა.

ხონი, 29 აგვისტოს.

რედაქციისაგან

ჩვენს შენიშვნას ხონის საქალებო შკოლაზედ ძლიერ გაურისხებია კნ. სოფია წულუკიძისა, რომელის წიგნსაც ამ ნომერში ვბეჭდავთ. მაგრამ არ იფიქროს კნ. სოფია წულუკიძისამ, რომ მის წიგნს ვითომც ჩვენის ჭეშმარიტების მოყვარებისა და სიმართლისადმი თანაგრძნობის დასამტკიცებლად ვბეჭდავდეთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ საზოგადოებას სხვა რომე საეჭვო ძველი არა აქვს, რომ ჩვენ ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის მოყვარეებში ჩავერიცხოს, კნ. სოფია წულუკიძის წიგნის დაბეჭდვით სრულიად არაფერი არ შეგვემატება; წინააღმდეგ შემთხვევაში დაუბეჭდელობაც ვერაფერს დაგვაკლებდა.

მაგრამ თუ ჩვენ ამ წიგნს ვბეჭდავთ, მხოლოდ იმიტომ, რომ თითოეულმა მკითხველმა დაინახოს, რა ნაირის გამწარებით კითხულობს თითოეული ყოველივე ამბავს, რომელიც მის ტყავს შეეხება და რა ნაირის გაბრაზებით უპასუხებს ის ამ ნაირის ამბის დამწერს, ანუ მთქმელს.

უკაცრავად ნუ ვიქნებით და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თვითონ კნ. სოფია წულუკიძისა დიდის ხალისით წაიკითხავდა ხონის შკოლაზედ შენიშვნას, თუ რომ შკოლის მზრუნველად თვითონ ის არ ბრძანებულიყო. ამას ჩვენ იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ კნ. სოფია წულუკიძისაზედ ჩვენგან გამოუცხადებელი ცუდი რამე გაგვეგონოს, ან ვიცოდეთ, არა. ჩვენ მიგვაჩნია ეს საზოგადო თვისებად, რომელიც რამდენად მომეტებულია ყოველივე კაცში, რამდენათაც ის წვრილმანს თავის მოყვარებასა და შურს შეუპყრია. და წვრილმანი თავის მოყვარება და შური ყოველთვის უმეცარს საზოგადოებაში უფრო არის გავრცელებული: აქ ყოველი კაცი სხვის თვალში პურის წველს ეძებს და თავის თვალში გახირებული დირე კი ავიწყდება. თითოეულს ის უხარიან ამ გვარ საზოგადოებაში, თუ სხვის გინება და სხვისი დამცირება დაინახა. თვითონ მაზედ კი -ებრალო ეჭვი, ან საფუძვლიანი მსჯელობაც რომ გამოსთქვათ, ქვეყანას აიკლებს ღაღადებით: „ნახეთ რა უსამართლოდ მეპყრობიანო!“

ასეა ყველა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ამბებისა და კორრესპონდენციების ბედი, რომ თუ ის კერძო პირის მოქმედებას, ან განსაზოგადებულ კერძო ფაქტებს შეეხება, უთუოდ ყაყანსა და დავიდარაბას სტეხს: კერძო პირის მოქმედების გარჩევა ხომ ერთს კაცს შეეხება, და რა დიდი გასაკვირველია, თუ იმან უკმაყოფილება გამოაცხადა. მაგრამ საოცარი ის არის, რომ განსაზოგადებულს ფაქტებსაც ყოველი კაცი თავის თავზედ იღებს და მაშინ რა ღონეა, რომ უკმაყოფილებას ასცილდე.

ამ ნაირი შეიქნა „აბა მიცანთ ვინა ვარის“ სტატია და ზოგიერთი სხვებიც. მკითხველები უკმაყოფილო იყვნენ ამ სტატიით, რედაქციას დამნაშავეთ სთვლიდნენ ამ კორრესპონდენციის დაბეჭდისათვის. მაგრამ ჩვენ ძალიან გვიკვირს, რატომ ერთს მათგანს არ მოუვიდა აზრში, რომ იმ სტატიაში არავინ დასახელებული არ ყოფილა და რედაქციას სრულიად არ შეეძლო გამოეცნო, თუ ვიზედ გადაკერით ლაპარაკობდა კორრესპონდენტი. რატომ ერთმა არ იფიქრა, რომ რედაქცია სრულიად არ არის ვალდებული იცოდეს, რომ ამ და ამ ქალაქში ესა და ეს კაცი ან ქალი სცხოვრობსო, ამათ ამდენი და ამდენი ეაჟი, ან ქალი ჰყავთო, ვაჟები თავის საცოლოებს ემიჯნურებიან, ქალებს კიდევ ბევრი მიჯნური სასიძო ვაჟები დასდევენო და სხვ. აბა ერთი მიბძანეთ, შესაძლებელია, რომ ამ გვარი ამბები იცოდეს რედაქციამ? თუ არა და ყაყანი და დავიდარაბა რასა ჰგავს?

ეჭვი არ არის, რომ ხონის შკოლაზედ ნათქვამი უფრო პირდაპირია, ვინემ ზემოხსენებული კორრესპონდენცია, ეს შენიშვნა კერძო პირს უფრო ეხება, ვინემ „აბა მიცანთ ვინა ვარის“ სიტყვები. მაგრამ ჩვენ არა გვგონია, რომ იმ შენიშვნაში რაიმე შეურაცხება იყოს. თუ ფაქტი მოგონებულია, ან სწორედ არ არის გადმოცემული, კნ. სოფია წულუკიძისას შეეძლო, რომ ეს ფაქტები უარ-ეყო, ან უფრო სწორედ გადმოეცა.

მაგრამ კნ. სოფია წულუკიძისა ფაქტის უარ-ყოფას გარდა, მოითხოვს ჩვენგან, რომ შევატყობინოთ იმ კორრესპონდენტის, ან მოამბის სახელი, ვინც ხონის საქალებო შკოლაზედ შენიშვნაში გამოცხადებული ამბავი გვაცნობა.

ამაზედ ჩვენ უნდა მოვახსენოთ, რომ რედაქციას არავითარი უფლება არა აქვს და ვერც ვერავინ მოსთხოვს მას, რომ თავისი კორრესპონდენტების სახელი ვისმე აცნობოს, თუ იმათ თავისი ნაწერით სისხლის სამართლის წინააღმდეგი არაფერი შემჩნეულია. რაც შეეხება მოამბეთ სახელის გამოცხადებას, ეს კიდევ უფრო შეუძლებელია და არა თუ რედაქციის მხრით, ყოველი კაცის მხრით უსინდისობა იქნებოდა ამ გვარი სიქცელი.

თუ კნ. სოფია წულუკიძისა ხსენებულს შენიშვნაში რაიმე შეურაცყოფილს ჰპოულობს, შეუძლიან დაქადებისაებრ სამსაჯულოს წესით იძიოს რედაქციისაგან.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბასთუმანი 24 აგვისტოს, 1874 წ.

მართლაც რომ კარგი რამ ადგილია ბასთუმანი. როგორც კი ახლოვდება კაცი, ის ხედავს აქეთ იქით გაბმულ გამობმულს, ნაძვნარით შემოსილს მთებს და ერთ ამათგანზედ საშინელ დიდ ციხეს, რომელსაც ეძახიან თამარის ციხეს. ეს ციხე მგზავრის თავში ბევრ ნაირ აზრს ჰბადავს და თითქმის ამას ეუბნება: „ნუ გიკვირს, მგზავრო, რომ ქართველებს ამ მაღალ მთაზე აუშენებიეარ, რომ რა არი გაჭირვების დროს ჩემ ქვეშ ეპოვნათ თავისუფალი ცხოვრება. თავისუფალი ცხოვრების დაცვისათვის რას არ იქს კაცი?“ ამ სიტყვების თქმა ბეჭდილებას მალე ფარდა ეფარება, რადგანაც რამდენიმე წამს შემდეგ მგზავრს თვითონ ბასთუმანი წარმოუდგება თვალ წინ. ბასთუმანის მარჯვნივ და მარცხნივ გრძლათ მიზდევენ მთები, რომლებიც შემოსილნი არიან ნაძვის ხეებით, და ამის გამო ჰაერიც წმინდა და მსუბუქი არის. მთების შუაში მოჩხრიალებს ოცხოს წყალი, რომელიც თუმცა კი სასმელათ და ჩაიში სახმარად გამოსადეგი არ არის, მაგრამ მაინც შეადგენს აქაური ადგილის დიდ სამკაულს და ჰაერსაც აგრილებს. აქა-იქ მთების ძირში გამოდის სახმარათ გამოსადეგი რამდენიმე ცივი წყარო. ახლა ამას დაუმატეთ თბილი აბანოს წყაროები, რომლებიც სამ გვარნი არიან და სხვა და სხვა სნეულებას აქრობენ. უველა ეს თბილი წყლები ამოჩუხჩუხებენ ოცხოს წყლის მარცხენა მხარეზე. აქაური ნიადაგი ქვიანი და ქვიშიანია, ამის გამოც ბასთუმანში ტალახი არ იცის და სინოტიე სრულებით არ არის. აქ ჰაერი არის, მსუბუქი, მშრალი და გრილი. ეს ჰაერის თვისებები ფიჭვის-ტყის, წყლებისა და ქვიშიან-ქვიანი ნიადაგის ბრალია და ამასთანავე იმისი, რომ ბასთუმანს მაღლობი ადგილი უჭირავს (ბასთუმანი ზღვაზე 4170 ფუტით ამაღლებულია). დილით აქ მშვენიერი სიო სცოდნია, საღამოთი კი ყოველთვის მყუდროობაა. ეს კია, რომ ხანდისხან ერთბაშათ აცივდება ხოლმე და ეს გარემოება, რასაკვირველია, ცოტა მოსაწონი არ არის; მაგრამ აქაურ სიცივეებს ისეთი თვისება აქვს, რომ კაცი ადვილათ არ გაციედება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის სიცივეები, რომელიც აქ იყო ხანდისხან თიბათვეში და კათათვეში, თფილისში რომ ყოფილიყო, ბევრს ინაცვალებდნენ. აქ კი ერთი კაციც არ გაციებულა. ასე გაშინჯეთ, მცივანა კაცებიც კი სიცივეების დროს საზაფხულო ტანისამოსით დასეირნობდნენ.

თუმცა ბუნებას ბასთუმნის ხეობა მშვენიერათ მოუმართავს, მაგრამ კაცი კი ვერ სარგებლობს ამითი. ძნელი წარმოსადგენია ის საძაგელი ხის სახლები, რომლებიც ბასთუმნის შენობებს შეადგენენ. დაბალი ჭერები, კირით ახალ გალესილ კედლებში ხუხრუტანეები, ბრუნდე პოლები, პაწაწინა ფანჯრები და ამასთანავე საძაგელი სუნი—ყველა ეს აქაური სახლების ნაკლულევანება არის. ბევრჯელ გამიგონია ჩემი ნაცნობებისაგან, სუ კარში რომ არ ვატარებდეთ დროებას, აქაური სახლები ბოლოს მოგვეღებდნენ უთუოთოო. მართლაც თიბათვეში და კათათვეში, როდესაც აცივდებოდა, სწორეთ უბედურება იყო ხოლმე ღამე. სახლებში ისე ცივდა ხოლმე, როგორც კარში. არის აქ კარგი აგარებიც, მაგრამ სამი ოთხი მარტო. რაც შეეხება საგაზოდო შენობებს დროს გასატარებლათ, მიგრეხილ-მოგრეხილ როტონდისა და პაწაწკინა პარკის მეტი არა არისრა.—ბარდა ამისა ორ გორაზე წამოსკუპულა ორი ფანჯატური. ბასთუმანში არის აგრეთვე ორი სასტუმრო, და ერთი ლაზარეთი.

ბასთუმანს უპირებენ გადაკეთებას და ამისათვის მთავრობისაგან არის გადადებული 400,000 მანეთზე მეტი. ამბობენ ბასთუმნი ხუთი წლის შემდეგ კარგი სანახავი იქნებაო. რასაკვირველია, ბასთუმანის შენობების გადაკეთება ძრიელ სასურველია და საამური; მხოლოთ ეს კი არ იქნება კარგი, თუ დიდ აგარებს გაკეთებენ, ამათ მდიდრულ მომართვას გამოუდგებიან, აგრეთვე ვანნებსაც მდიდრულათ მომართვენ, რადგანაც ყველა ეს მდიდრებისთვის კარგი იქნება, მაგრამ ხალხისთვის ცუდი. ამას გაუჭირდება მაშინ მოსვლა ბასთუმანში და ეს სამწუხარო საქმეა. მდიდრებს შეუძლიანთ პიატიგორსკშიაც წავიდნენ ხოლმე. მაგრამ ღარიბებს კი არა. ერთი სიტყვით სამწუხარო იქნება, თუ ბასთუმანს არისტოკრატიული ხასიათი მისცეს.

ვინ იცის რა ჯურის კაცი არ იპოვება აქ! საქართველოს რომელი ადგილიდამ არ არიან მოსულები! აქ ნახავთ თითქმის ყველა კუთხიდამ მოსულებს; მაგრამ ბურთი და მოედანი ეკუთვნისთ ახალციხელებს და ამისთვის ჯერეთ ამათ მოქმედებანი აღვწეროთ. რაც სახლებია ბასთუმანში, იმათი მომეტებული ნაწილი ეკუთვნის ახალციხის ურიებს და სომხებს, დანარჩენი ნაწილებისაც თუმცა პატრონები არ არიან ისინი, მაგრამ გამქირავებლები კი უთუოდ. ჩვენის საუკუნის ლტოლვილება ფულების შეძენისა ისე გასჯდომია ტანში ახალციხელ ებრაელებსაც, რომ არავითარს ღონისძიებას არ თაკილობენ: რამდენიმე მათგანი ზამთარშიც ძრიელ ნაკლებ ფასათ ღებულ ბასთუმანში სახლებს და, როგორც კი დადგება გაზაფხული, ყოველივე საშუალებით ავრცელებს ხმას, რომ წრეულს დიდი ხალხი მოეკო ბასთუმანში. იმ სახლს, რომელიც თვითონ უქირავნიათ ოთხ თუმნათ, აფასებენ ათ თუმნათ, ათ თუმნიან სახლს კიდევ ოცდა ხუთ თუმნათ, ერთი სიტყვით—ერთი ორათ და მეტათაც აფასებენ. თავიანთი ეშმაკობით რამდენიმე ჩემი ნაცნობთაგანი კიდევაც მოატყუილეს აქაურმა ჩარჩებმა. ერთ ჩემ ნაცნობს სამთუმნიანი სახლი მიაჩეჩეს ექვს თუმნათ და ეს სახლი ისეთი მშვენიერი იყო, რომ ახალმა მდგურმა სამ დღეს ვერ გასძლო და სხვა სახლში გადავიდა. მეორე ჩემ ნაცნობს კიდევ ოც თუმნიანი სახლი ორმოც თუმნათ მიაქირავეს ბასთუმნის ჩარჩებმა

რამდენ ამისთანა ოინებს შვრებიან ესენი! რომ ამ გვარათ უმგზავსობა არ იყვეს, მაშინ ბასთუმანში სრულებით ძვირი არ იქნებოდა სახლები, რადგანაც აქაური სახლები ყოველთვის ეყოფა აქ მოსულებს; ეხლა კი ერთ საძაგელ ოთახში ოთხს თუმნამდის უნდა მისცეს კაცმა, ორ ოთახში კიდევ რვა თუმნამდის.

რომ მარტო ჩარჩობით ეშმაკობდნენ ახალციხელი ურიები და სომხები, მაშინ კიდევ მაგდენი არა ფერი სამწუხარო იქნებოდა. უბედურება ის არის, რომ არც ებრაობაში იცავენ პატიოსნებას (რასაკვირველია, ზოგიერნი კი პატიოსნათ იქცევიან). ამისთანა ადგილას, როგორც ბასთუმანია, დიდი მნიშვნელობა აქვსთ სასტუმროებს.

და ამისათვის უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ როგორ ებრაობენ ახალციხელები ბასტუმანში. აქ ორი სასტუმროა. ერთის არსებობა უარსებობას ჰგავს, რადგანაც მიეარდნილ ადგილას არის და ხალხი აგრე რიგათ არ ეტანება; მეორე სასტუმრო პირველია ბასტუმანში. ძველი წარმოსადგენია, თუ ამ სასტუმროს პატრონს როგორ აქვს გამჯდარი ხორცში და რბილში ფულების შოვნის სურვილი. სძინავს თუ ღვიძავს. სუ ფულების შოვნის ფიქრშია. ფულების შოვნაზე ფიქრი საკურველი არ არის ჩვენს ებრაულს საუკუნეში; მაგრამ უბედურება ის არის, ბასთუმნის მესასტუმრე არ იცავს არავითარ ებრაულ პატრონობას, რადგანაც ის დარწმუნებულია, რომ ბასთუმანში იმის მეტს არავის არა აქვს კარგს ადგილას სასტუმრო და ამისათვის როგორც უნდა მოიქცეს, მაინც ხალხი თავს არ დაანებებს. ეი რას სჩადის ეს მესასტუმრე. ოარ ბაზიან ღვინოს ოთხ ბაზათ აძლევს თავის სტუმრებს, სადილს აბზადებს საძაგელს; თუ ჩაი მოსთხოვა ვინმემ, ოცხოს წქლით უდგამს სადულარს მაშინ, როდესაც ოცხოს წყალი ძრიელ მაწყინარია ჩაიში და კაცს კუჭს უხდენს. ეს კიდევ არა ფერი. ისე ეპყრობა სტუმრებს, თითქო მათი ბატონი იყვეს. რამ დენჯერ შემოუჩივლიათ ჩემთვის ნაცნობებს, რომ ისინი მესასტუმრეს მოთმინებიდამ გამოჰყავს და არ იციან, თუ როგორ მოექცნენ. ხშირათ მინახავს მე თვითონ შემდეგი სცენა: სასტუმროში სხედან სადილზე ხუთმეტამდის კაცი, იმათში სამიოდე ქალია; საჭმელების მოტანი ერთია. ეს ერთი კაცი ვერ ასდის სტუმრებს და ამისათვის სხედან და უცდიან, თუ როდის ზოგი მათგანი მოესწრობა პირველ თავ საჭმელს, ზოგნი კიდევ მეორე თავ საჭმელს. ერთს უდგია წინ ბორშჩი, პური არა აქვს; მეორე კიდევ უცდის, თუ როდის შემოუტანენ ღვინოს. ეი მოაქვს ღვინო მესასტუმრეს, მაგრამ რა ნაირათ? ზნექით და რადგანაც დასცხომია სერთუკი გაუხდია და იმას კი არ ფიქრობს, რომ ჩემი ასე პერანგით შესვლა სტუმრებთან მოსაწონი არ არის. ეს როგორი ღვინოა?! ეუბნება სტუმარი. ჩვენ მაგაზე კარგი ღვინო არა გვაქვს, გინდოდეს დალიე, გინდოდეს ნუ დალევ, ამბობს პასუხს მესტუმრე. ჰეი, მესასტუმრევ, უთხარით ბიჭს მეორე თავი საჭმელი მამიტანოს! ნახევარ საათია უცდი ეუბნება მეორე სტუმარი. ეი ნელნელაობით მიდის ჩვენი მესასტუმრე-თითქო ეს ამის საქმე არ არისო. ეი ბილიარდთან შეჩერდა: შენ რამდენი შარი გაკეთე ჰკითხავს მოთამაშეს. ეს მეშვიდეა, აძლევ პასუხს უკანასკნელი. მეექვსე კი არა, მეათე იქნება, ცოტა ხანია თამაშობთ, უყვირის მესასტუმრე მოთამაშებს და შარებს ერთი ერთმანეთში ურევს. მოთამაშეები ჩერდებიან და არ იციან, თუ როგორ მოექცნენ ამ ახირებულ კაცს. რამდენი უფრო ამაზე დიდი ოინები ჩაუდენია ბასთუმნის მესასტუმრეს, შერჩენია, რადგანაც სტუმრები შფოთს ძრიელ ერიდებიან.

საზოგადოთ კაცი რო აცქერდება ბასთუმნის მესასტუმრეს, ადგენს შემდეგ დასკვნას: ამ მესასტუმრეს ჰგონია, რომ ბასთუმანში მოსულები ვალდებულები არიან, იმის სასტუმროში გაუშვან ფულები მუქთათ და ამისათვის ცხარობს, როდესაც ვინმე უწუნებს რასმეს.

ფულების შოვნის სურვილი მარტო სასტუმროს პატრონს არ ახტუნავებს, არც სხვა ებრაებს უშვებს უმოძრაოთ. დიდი და პატარა ებრაებთაგანი ცერცვისავებ ხტიან თავიანთ დუქნის წინ და ცდილობენ, როგორმე თავიანთი საქონელი მეტად გაასაღონ. მაგრამ ესენი ისე ვერ ახერგებენ, როგორც სასტუმროს პატრონი. ამის მიზეზი ის არის, რომ უკანასკნელს კონკურენტი, შემჯიბრებელი, არავინ ჰყავს აგრე რიგათ; პირველები კი ერთი ერთმანეთების კონკურენტები არიან და ამისათვის თავიანთ ეშმაკობა ვერ აგრე რიგათ ვერ გაჰყავთ.

ასე, ახალციხელების ცხოვრება ბასთუმანში იხატება იმითი, თუ როგორ ისარგებლონ დროებით, რომ რა არი ფულებით ჯიბეები გაიტენონ. რასაკვირველია, ჩვენ აქ ველაპარაკობთ იმ ახალციხელებზე, რომლებიც მოსულან ბასთუმანში ებრაობის განზრახვით და არა ყველა ახალციხელებზე. ბევრი ახალციხელია ბასთუმანში იმ აზრით, რა აზრითაც არიან მოსულები სხვა ადგილებიდამ და მათი ცხოვრება თითქმის იმნაირათვე მიმდინარობს, რანაირათაც სხვა ადგილებიდამ მოსულების ცხოვრება.

ახლა კი შეუდგეთ სხვა ადგილებიდამ მოსულების ბასთუმანში ცხოვრების გაჩხრეკას.

დროებითი ბასთუმნელი.

ქ. ფოთი, 29 აგვისტოს

„დროების“ უკანასკნელ ნომერში წავიკითხეთ უ. ნ. ძ—ძის სტატია ერთ ახალსენაკის მღვდელზედ, რომელიც გაესვებულია იმისთანა უსაფუძვლო სიტყვებით, რომ არ შემ ძლია არ ვსთქვა მაზედ ორიოდე სიტყვა.

უ. კორრესპონდენტი სწერს ახალ-სენაკის მღვდლის გარემოებას, რომელსაც ვითომც არ შეესრულებინოს მისის ყოველად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის მოწერილობა, გვირგვინის კურთხევის თაობაზედ, და მას დასამტკიცებელად მისის სტატიისა მოყავს, სხვათა შორის, იქაური დიაკვნის სიტყვები: „მღვდლები რომ ფულების გაუმაძღარი და სხ...“ მაგრამ, უ. მკითხველნო, იმედი მაქვს, რომ უ.ნ. ძ—ძის სტატიას არ ეწერმუნებით, მით უმეტეს, რომ მას მოყავს დიაკვნის სიტყვები, რომელიც არაოდეს არ იტყოდა ამას; თუ ღმერთი გრწამსთ, მითხარით, ვინ იტყვის, დედა ჩემი კუდიანიაო.

თუმცა მართლა დიაკონმა უ. კორრესპონდენტს უპასუხა ისრე, როგორც ის ამბობს, ამას მტეროობით იტყოდა მისთვის, რომ მღვდელი ნაგვირგვინევ ფულებს არ გაუზიარებდა მას.

ამას გარდა კორრესპონდენტს მოყავს მისი სტატიის დასამტკიცებლად, რომ როცა მღვდელს ფულები მოუტანეს, მაშინ გვირგვინის საკურთხი ვაჟი და ქალი ლოცვების მცოდნე გახდენო. აბა, კითხეთ ერთი უ. კორრესპონდენტს, გვირგვინის საკურთხ ვაჟს და ქალს ლოცვები რომ ცოდნოდათ, მღვდელი უფულოთ უკურთხებდა, თუ არა, მათ გვირგვინს? და მაშინ მისი სტატია დამტკიცდება თავიდგან ბოლომდის.

ამას დავეთხოვოთ, მაგრამ ეს უ. ნ. ძ—კი ჩვენ მღვდლებს რას ლანძღავს? რა იცის მან, რომ ჩვენი მღვდლები იმერეთის ეპისკოპოსის მოწერილობას გვირგვინის კურთხევის თაობაზედ მტკიცეთ არ ასრულებენ? სხვა მღვდლები რა დანაშაული არიან, ერთი სენაკელი მღვდელი თუ მართლა ისე მოიქცა, როგორც უ.ნ.ძ—კი სწერს? მაგრამ ეს გარემოებაც სრულებით არ არის ჯერჯერობით დამტკიცებული საფუძვლიანი ფაქტებით.

ქ. მღვდელი.

რუსეთი

— ᲑᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ სწერენ, ვითომც პეტერბურლის უნივერსიტეტის მთავრობას სტუდენტებისათვის საურთიერთო შესაწევარი კასსის შედგენის ნება მიეცეს. კასსაში მონაწილეობის მისაღებად დანიშნულია ერთი მანეთი შესატანი ფული. შესაწევარი ორმოცდა ათ მანეთზედ მეტი არ უნდა იქმნესო.

— „პეტერბურლის უწყებები“ გვაცნობებენ, რომ ამ წლის პირველის ივლისისათვის მუშაობაში ყოფილა შვიდას ოთხმოცდა ხუთი მილლიონი მანეთი ქაღალდის ფული. სახელმწიფო ხაზინას მართებია ვალად ოთხმოცდა ცამეტ ნახევარი მილლიონი გულდენი, ოთხმოცდა შვიდ მილლიონ ნახევარი გირვანქა სტერლინგი, და ცხრაას ოცდა რვა მილლიონი მანეთი. ამ წელში გულდენებს მოჰკლებია, ესე იგი გადახდილა, მილლიონ ნახევარზედ მეტი, მანეთებს— თორმეტ ნახევარი მილლიონი და სტერლინგებს მომატებია თოთხმეტი მილლიონი. ᲒᲣᲚᲓᲔᲜᲘ რომ ორმოცდა ათ კაპეიკად ვიანგარიშოთ და გირვანქა სტერლინგი აქვს მანეთად და ხუთ შაურად, სახაზინო ვალი ყოფილა სულ ათას ექვსას მილლიონამდია. ამ ვალში ირიცხება წრეულს აღებული სამოცდა თხუთმეტი მილლიონი მანეთი.

-- ᲔᲮᲚᲐ ფინანსთ სამინისტრო ჰფიქრობს იმაზედ, რომ სახაზინო გარდასახადისათვის დანიშნული დრო შესცვალოს და თავის აზრი ამ საგანზედ სახელმწიფო რჩევაში შეიტანოს განსარჩევად და დასამტკიცებლად.

— „მართებლობის მოამბეში“ გამოცხადებულია, თუ რამდენი ზარალი მოუხდენია ცეცხლს წარსულს ივლისის თვეში. ამ ცნობისაგან სჩანს, რომ რუსეთის სამოცდა ცხრა გუბერნიაში ორიათას ას ორმოცდა ორს ალაგას გაჩენილა ცეცხლი და თითქმის შვიდი მილლიონი მანეთის საღირალი ქონება გაუფუჭებია. მოსკოვის გუბერნიას თითქმის ერთი მილლიონის ზარალი მისცემია, ქიევისას—ნახევარ მილლიონზედ მეტი, რიაზანისას--ნახევარ მილლიონამდის. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔᲓ ᲣᲤᲠᲝ ნაკლები ზარალი ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ: ᲑᲐᲥᲝᲡ გუბერნიაში სამი ათასი მანეთის ზარალი მომხდარა, ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲐᲨᲘ--ათასი მანეთის, სტავროპოლისაში—ოთხმოცი მანეთის.

— ᲧᲕᲔᲚᲐ აფიცერს ვინც გვარდიაში და გრენადერებში არ ირიცხება, ან უმაღლესს სამხედრო სამმართველოებში არ მსახურებს, ან მისი ᲣᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ სვეტაში არ არის, წვერის მოშვების ნება მიეცათ იმ თვის ოცდგან.

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ.

— საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მარშალი მაკ-მაჰონი ეერაფრად კმაყოფილი დარჩენილა თავის მოგზაურობით. მარშალს ყოველგან რესპუბლიკის ერთგულებაზედ და იმის დამყარებაზედ ეუბნებოდნენ. სხვა და სხვა საზოგადოების წარმომადგენელნი პირნი ყველანი შესჩიოდენ. მას, რომ ეხლანდელმა დროებითმა მდგომარეობამ, რესპუბლიკის ძირის თხრამ, ვაჭრობა წარმოება და ყოველ-გვარი საქმეები დასცაო საფრანგეთში.

— ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ. რომ მაკ-მაჰონი ეხლა სამხრეთის საფრანგეთის დაელას აპირებს. მარშალს უნდა, თურმე, შეიტყოს ი